

A scenic view of a mountain village with wooden houses on a green hillside. The houses are built on a steep, grassy slope, and the background shows a large, rounded mountain peak with patches of red rock. The sky is a pale, overcast blue. The text is centered in the upper half of the image.

ფერმერის სახელმძღვანელო  
ეკო და აგრო ტურიზმის წამოსაწყებად

**ფერმერის სახელმძღვანელო  
ეკო და აგროტურიზმის წამოსაწყებად**

**ბათუმი 2017**

## შინაარსი

|   |    |
|---|----|
| შესავალი -----  | 4  |
| ტერმინების განმარტება -----                                   | 5  |
| ეკო და აგროტურიზმის არეალი და მიმართულებები -----             | 7  |
| როგორ დავიწყეთ ეკო და აგროტურიზმი? -----                      | 8  |
| 3 პირობა ეკო და აგროტურიზმის წამოსაწყებად -----               | 10 |
| 5 კრიტერიუმი ეკო და აგროტურიზმის ბაზრის<br>შესაფასებლად ----- | 12 |
| აგრო და ეკოტურიზმის მარკეტინგი -----                          | 14 |
| უსაფრთხო და დაცული ფერმა ტურისტებისთვის -----                 | 15 |
| თქვენი პოტენციური პარტნიორები ტურიზმის სექტორში -----         | 20 |
| დანართები -----   | 21 |

## შესავალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტურიზმი წარმოადგენს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოს 6,4 მილიონამდე ადამიანი ესტუმრა და მათ მიერ ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილმა თანხამ 2.2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.<sup>1</sup>

საქართველოს ტურისტულ მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელიც ხასიათდება როგორც უნიკალური კლიმატური და ლანდშაფტური, ასევე ბიოლოგიური მრავალფეროვნებით და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტურიზმის განვითარებისათვის. ყოველწლიურად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რომლებიც ზაფხულს აჭარის სანაპიროზე ატარებენ. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2016 წლის მონაცემებით, ავტონომიურ რესპუბლიკას 871,455<sup>2</sup> ტურისტი სტუმრობდა, მათი დაახლოებით 84%-ის ვიზიტის ძირითად მიზანს ბუნების დათვალიერება წარმოადგენდა, ხოლო 16%-ის - აჭარის დაცული ტერიტორიების მონახულება.<sup>3</sup>

წარმოდგენილი სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სოფლის მოსახლეობას და ფერმერებს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებასა და სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარებაში. სახელმძღვანელოში აღწერილია ის ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც ტურისტების მიღებით და მასპინძლობით დაინტერესებულმა ოჯახებმა უნდა გაითვალისწინონ ბიზნესის წამოსაწყებად.

<sup>1</sup> <http://stats.gnta.ge/Default.aspx>

<sup>2</sup> <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/d0db178922454392abb527885eb8.pdf>

<sup>3</sup> <http://gobatumi.com/files/media-and-press/News-2016/2016%20statistics%20infographic%20full%20report-final.pdf>

## ტერმინების განმარტება

**სასოფლო ტურიზმი** - ტურიზმის სახეობა, რომელიც სასოფლო სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების გარემოში ვითარდება და სამ ძირითად ასპექტს ითვალისწინებს: მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე და დასახლების მცირე ზომა, მიწის გამოყენება, სადაც დომინირებს სოფლის და სატყეო მეურნეობის დარგები, ტრადიციული სოციალური სტრუქტურა, სადაც არსებობს თემის იდენტობისა და მემკვიდრეობის განცდა.<sup>4</sup>

**ეკოტურიზმი** - ბუნებაში პასუხისმგებლიანი მოგზაურობა, იმისათვის, რომ ისიამოვნო და დააფასო ბუნებრივი გარემო (და მისი შემადგენელი თანამედროვე და ძველი კულტურული სახასიათო ნიშნები), რაც ხელს უწყობს კონსერვაციას, აქვს მცირე ზეგავლენა ვიზიტორებისგან და სოციო-ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

**აგროტურიზმი** - კომერციული აქტივობა მოქმედ ფერმაში, რომელიც შექმნილია ვიზიტორების გართობისათვის და დამატებითი შემოსავალი მოაქვს ფერმის მეპატრონისათვის.<sup>5</sup>

**ფერმერი** - ადამიანი, რომლის ძირითად სამუშაო საქმიანობას შეადგენს სოფლის მეურნეობა. ფერმერი ყველა საჭირო საქმიანობას ახორციელებს იმისათვის, რომ გაზარდოს/მოიყვანოს და მიიღოს სასოფლო სამეურნეო პროდუქცია, რომელსაც საბოლოოდ მიყიდის მომხმარებლებს.<sup>6</sup>

**ფერმა** - მიწის ფართობი, რომელიც განკუთვნილია სოფლის მეურნეობის საქმიანობების განხორციელებისათვის, რომლის ძირითადი მიზანია საკვების მიღება და წარმოადგენს საკვების წარმოების მეურნეობის საწყის ფორმას.<sup>7</sup>

<sup>4</sup> <https://www.oecd.org/cfe/tourism/2755218.pdf>

<sup>5</sup> <http://sfp.ucdavis.edu/agritourism/factsheets/what/>

<sup>6</sup> <http://www.businessdictionary.com/definition/farmer.html>

<sup>7</sup> Gregor, 209; Adams, 454.

**საოჯახო ფერმა** - სოფლის მეურნეობის ორგანიზების საშუალება, რომელსაც მართავს ოჯახი და მასში ძირითადად ჩართულნი არიან ოჯახის წევრები.<sup>8</sup>

**ბაზრის შესაძლებლობების შეფასება** - კონკრეტული ინდუსტრიის ფარგლებში ბაზრის მიმზიდველობისა და დინამიკის შესწავლა, რაც კომპანიებსა და კერძო მეწარმეებს ეხმარება შეიმუშაონ ბიზნესგანვითარების სტრატეგიები.

**ტურიზმის მარკეტინგი** - ბიზნესის დარგი, რომელიც მუშაობს ტურისტების კონკრეტულ სერვისზე და ადგილმდებარეობაზე მისაზიდად.<sup>9</sup>

**ფინანსური გეგმა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის** - მოცემული ბიზნესის მომავალი განვითარების პროგნოზი, გათვლილი ერთ ან რამდენიმეწლიან პერიოდზე.<sup>10</sup>

---

<sup>8</sup> <http://www.fao.org/3/a-i4306e.pdf>

<sup>9</sup> [http://www.ehow.com/about\\_6683884\\_definition-tourism-marketing.html](http://www.ehow.com/about_6683884_definition-tourism-marketing.html)

<sup>10</sup> <http://smallbusiness.chron.com/developing-financial-plan-small-business-4714.html>

## ეკო და აგროტურიზმის არეალი და მიმართულებები

ეკოტურიზმი ვითარდება დაცული ტერიტორიების ან გამორჩეული ღირებულების ბუნების ძეგლების სიახლოვეს და დამოკიდებულია ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს მიმზიდველობაზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის ძირითად ან დამატებით წყაროდ შეიძლება ჩამოყალიბდეს.

აგროტურიზმი დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ფერმასთან, სადაც სერვისის მიწოდება ხდება ფერმერის მიერ და შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს ძირითად სასოფლო სამეურნეო საქმიანობასთან ერთად.

ეკო და აგროტურიზმი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ ბუნებრივ გარემოში აქტივობებს (ველური ბუნების შესწავლა და დაკვირვება, მნიშვნელოვანი ღირებულების კულტურული და ბუნებრივი ძეგლების მონახულება, ჯირითი, თევზაობა და ნადირობა);
- ✓ გართობა/სანახაობა (მოსავლის ადების ფესტივალი, ადგილობრივი სასოფლო/სათემო დღესასწაულის აღნიშვნა);
- ✓ მასპინძლობის სერვისი (ფერმაში დარჩენა და ფერმის ცხოვრების გაცნობა, ფერმაში თემატური ტურების მოწყობა);
- ✓ ფერმაში წარმოებული პროდუქციის გაყიდვა.

ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები დაინტერესებული არიან გაეცნონ მასპინძელი ქვეყნების როგორც ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ტრადიციებს. ამის საშუალებას სწორედ ეკო და აგროტურიზმი იძლევა, როგორც კომერციული საქმიანობის მიმართულება, რომელიც ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახით ვითარდება არსებული ფერმერული მეურნეობების ბაზაზე და დამატებითი შემოსავალი მოაქვს ფერმერებისათვის.<sup>11</sup>

<sup>11</sup> Center for Responsible Travel, 2016, The Case for Responsible Travel: Trends & Statistics 2016



## როგორ დავიწყოთ ეკო და აგროტურიზმი?

### 1. შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები

იმისთვის რომ მიხვდეთ, შესაძლებელია თუ არა დაიწყოთ აგრო და ეკო ტურისტული ბიზნესი, საჭიროა შეაფასოთ თქვენი რესურსები:

✓ ადამიანური რესურსი (რა ცოდნის და უნარჩვევების მქონე ადამიანები გჭირდებათ ახალი ბიზნესის წამოსაწყებად, რამდენად ხელმისაწვდომია ასეთი ადამიანების მხრიდან დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება);

✓ ტექნიკური რესურსი (რა შესაძლებლობები გააჩნია თქვენს საკუთრებაში არსებულ ფერმას იმისათვის, რომ ტურისტული სერვისები შესთავაზოს მომავალ მომხმარებელს; რა მდგომარეობაშია ფერმის ინფრასტრუქტურა და პოტენციური მომხმარებლის მიღებისთვის რა ტიპის განახლებას საჭიროებს; აქვს თუ არა ფერმის სპეციფიური, უნიკალური მიმართულება, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მომხმარებლისათვის);

✓ ფინანსური რესურსი (გაქვთ თუ არა, ხელმისაწვდომობა საჭირო ფინანსურ რესურსზე; თუ სესხის აღებას აპირებთ, რამდენად შესაძლებელი იქნება ახალი ბიზნესაქტივობის შედეგად მიღებული შემოსავლით სესხის გასტუმრება და მოგების მიღება).

*(დანართ 1-ში შეგიძლიათ იხილოთ ტურისტული ბიზნესის წამოწყებით დაინტერესებული ფერმერის წინასწარი თვითშეფასების ცხრილი, რომელიც დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად მზად ხართ პირველი ნაბიჯების გადადგმისათვის.)*

### 2. იყავით ინფორმირებული

✓ მიიღეთ მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენი ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარებას ახალი საქმიანობის წამოსაწყებად (დანართ 2-ში იხილეთ იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც



დაინტერესებულ ადამიანებსა და კომპანიებს სთავაზობენ ტურისტული ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო თემატურ ცოდნას);

✓ შეიძინეთ თემატური წიგნები, ჟურნალები, ფილმები და გამოიწერეთ ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები. (დანართ 3-ში იხილეთ კვო და აგროტურიზმით დაინტერესებული ადამიანებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ჩამონათვალი);

✓ გაეცანით თქვენთვის საინტერესო სფეროში მომუშავე ფერმერების საქმიანობას და ინოვაციურ მიდგომებს;

✓ კარგად შეისწავლეთ ბაზარი და გამოიკვლიეთ არსებული მოთხოვნა. ახალი სერვისების განვითარებამდე გააცანით საკუთარი იდეები პოტენციურ მომხმარებლებს და მიიღეთ მათგან რჩევები;

✓ განავითარეთ ქსელური მუშაობა (მაგ. გაწევრიანდით სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც თქვენთვის საინტერესო მიმართულებით მუშაობენ (იხილეთ დანართი 4); მოიწვიეთ სხვა ფერმერები და შექმენით ასოციაცია მეზობელ ფერმერებთან ერთად;

✓ იყავით ღია სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობისათვის;

✓ მოამზადეთ ბიზნეს, მარკეტინგული და ფინანსური გეგმები. მსგავსი ტიპის გეგმების მოსამზადებლად ბევრი რესურსი არსებობს ინტერნეტში და სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანიზაციები მზად არიან დახმარება გაუწიონ დამწყებ მეწარმეებს;

✓ დაიწყეთ მცირე ინიციატივით და მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განავითარეთ ახალი ინიციატივა.

### 3 პირობა ეკო და აგროტურიზმის წამოსაწყებად

თუ თქვენ ცხოვრობთ სოფელში, გაქვთ სახლი, ამუშავეთ მიწას, გყავთ შინაური ცხოველები და აწარმოებთ ტრადიციულ მეურნეობას, ანუ ხართ ფერმერი, და თუ თქვენი სოფელი მრავალფეროვან და საინტერესო ეკოზონაში მდებარეობს, ეს უკვე კარგი წინაპირობაა ეკო და აგრო ტურისტული ბიზნესის დასაწყებად, რომელიც სამ ძირითად მოთხოვნას უყენებს ფერმერს:

#### 1. დაინტერესებული ტურისტების მიღება და დაბინავება

ტურისტების მიღება და დაბინავება დაკავშირებულია, როგორც ფერმის ტექნიკურ შესაძლებლობებთან (გააჩნია თუ არა ფერმას საჭირო ინფრასტრუქტურა), ასევე მასპინძლის ცოდნაზე (კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, უცხო ენების ცოდნა).

პირველადი ტექნიკური მოთხოვნებია:

**მდებარეობა** - ფერმა უნდა მდებარეობდეს ტურისტებისათვის ადვილად მისაღწეად ადგილას, მისი მდებარეობა უნდა იყოს უსაფრთხო და მშვიდი;

**ფერმის ინფრასტრუქტურა** - უნდა მოიცავდეს:

- ✓ სტუმრების მისაღებ ადგილს (ოთახს), სადაც ისინი მიიღებენ ინფორმაციას ფერმის საქმიანობის და სერვისების შესახებ, რომლებსაც მათ ფერმაში სთავაზობენ;
- ✓ ავტოტრანსპორტის გასაჩერებელ ადგილს, რომელიც გათვალისწინებული იქნება როგორც მცირე, ისე საშუალო ზომის ტრანსპორტზე, ის ახლოს უნდა იყოს სტუმრების მისაღებ ოთახთან;
- ✓ სასადილო ოთახს/სივრცეს - რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც ფერმის სტუმრებისთვის, ასევე იმ ტურისტებისათვის, რომლებიც ფერმის სიახლოვეს არიან ჩამოსულები რეკრეაციული მიზნით;

- ✓ ფერმის გიდი<sup>12</sup> - ფერმის პერსონალი, რომელსაც გააჩნია კარგი ცოდნა ფერმის საქმიანობის შესახებ და უნარი სტუმრებთან კომუნიკაციისათვის;
- ✓ ფერმის მაღაზია - სადაც უნდა იყიდებოდეს ფერმაში მოყვანილი პროდუქცია და ადგილობრივი სუვენირები;
- ✓ დამხმარე ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა მოიცავდეს შიდა გზებს, საფეხმავლო ბილიკებს, გარე განათების სისტემას და ელექტროკვების ბლოკებს, სუფთა სასმელი წყლის წერტილებს, საპირფარეშოებსა და სააბაზანოებს, სარეცხ და საშრობ მოწყობილობებს, სამზარეულო მოწყობილობებს, რომლის გამოყენებაც შეეძლება ტურისტებს;

**2. საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობების შეთავაზება ფერმაში**  
 ფერმერმა, რომელიც საკუთარ ფერმაში ტურისტული სეგმენტის განვითარებაზე ფიქრობს, საკუთარი ცოდნა უნდა გაუზიაროს ტურისტებს. ამისათვის მან უნდა შეიმუშაოს სხვადასხვა ასაკის და შესაძლებლობების ადამიანებისათვის ცოდნის გადაცემისა და ფერმის აქტივობებში მონაწილეობის კურსი. აღნიშნული საქმიანობა შემეცნებითი ხასიათის და გარკვეული სპეციფიკის მატარებელი უნდა იყოს, რაც ტურისტებისთვის ფერმაში გატარებულ დროს საინტერესოს გახდის და სურვილს გაუჩენს მათ სხვასაც დაინტერესებულ ურჩიონ ფერმის სტუმრობა.

**3. ფერმის გარე აქტივობების ორგანიზება**

აგრო და ეკო ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია ფერმის გარე აქტივობებში მონაწილეობა, ეს შეიძლება იყოს ტყეში გასეირნება, მდინარეზე საბანაოდ ან სათევზაოდ წასვლა, კულტურული ძეგლების მონახულება, ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვება. ფერმერმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ის ტურისტულად საინტერესო ბუნებრივი და კულტურული რესურსები, რაც მის გარშემო არსებობს და დაგეგმოს ტურისტებისთვის მიმზიდველი გარე აქტივობები.

---

<sup>12</sup> Mahaliyanaarachchi, R., 2015. Agri Tourism Farm & Farm Stay

## 5 კრიტერიუმი ეკო და აგროტურიზმის ბაზრის შესაფასებლად

ტურისტული ბიზნესის წამოწყებისას აუცილებელია წინასწარ შეისწავლოთ ტურისტული ბაზარი ქვეყანაში და განსაზღვროთ თქვენი ადგილი/ნიშა. ტურისტული ბაზრის განვითარებაზე მოქმედებს როგორც გარე ფაქტორები (უსაფრთხოება მიმდებარე ქვეყნებში; ტურიზმის განვითარება სხვა კონკურენტ ქვეყნებში; გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ტურისტების რაოდენობის კლებას იწვევს), ისე შიდა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, კონკურენტულ ფასებთან, შეთავაზებული სერვისების ხარისხთან და მრავალფეროვნებასთან.

ეკო და აგრო ტურისტული ბაზრის შეფასებისთვის **5 ძირითადი კრიტერიუმი**:

### 1. მიმზიდველობა

შეეცადეთ თქვენი ტურისტული შეთავაზება შედარებით უფრო მიმზიდველი იყოს ტურისტული დასვენების/გართობის მრავალფეროვნებით, სერვისებით, მანძილით, რომელიც ტურისტმა უნდა გაიაროს თქვენს საოჯახო ფერმამდე მოსასვლელად, და კავშირით სხვა ტურისტული დანიშნულების ადგილებამდე;

### 2. ტურისტებისთვის შესათავაზებელი აქტივობები

წინასწარ დაგეგმეთ და თქვენს ტურისტულ შეთავაზებაში ასახეთ ის გასართობი/დასასვენებელი აქტივობები, რომლებსაც ტურისტებს სთავაზობთ. კარგი იქნება თუ ისინი დაკავშირებული იქნება თქვენს ან მიმდებარე რეგიონში არსებულ ტურისტულ აქტივობებთან. ეს შესაძლებელს გახდის ტურისტებისათვის თქვენი შეთავაზება ერთიანი ტურისტული პაკეტის ნაწილად დაინახონ (აღნიშნული მიზნის მისაღწევად კარგი საშუალებაა ტურისტული ასოციაციის შექმნა, სადაც სასტუმროების მეპატრონეები და ტურიზმის სერვისების სხვა მიმწოდებლები შეთანხმდებიან როლებსა და თანამშრომლობის მექანიზმებზე);

### **3. მისადგომობა**

ტურისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რამდენად ადვილად მისადგომია ის ტერიტორია, სადაც ისინი საკუთარ დასვენებასა და გართობას გეგმავენ. მათი ეს დამოკიდებულება მომდინარეობს უსაფრთხოების, კომფორტის და დროის მართვის საკითხებიდან. აუცილებელია არსებობდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (კარგი გზები, საზოგადოებრივი ან კერძო ტრანსპორტის ქსელი) და საჭიროების შემთხვევაში ამ საკითხებზე ხელისუფლებასთან თანამშრომლობა;

### **4. ტურისტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა**

ტურისტები საკუთარი შესაძლებლობებითა და სურვილებით სხვადასხვა ჯგუფებად იყოფიან. თითოეულ ჯგუფს საკუთარი მოთხოვნა აქვს საცხოვრებელი პირობების მიმართ, ამიტომ წინასწარ უნდა განსაზღვროთ თქვენთვის საინტერესო ტურისტული სეგმენტი (მაგ. შედარებით ძვირი, მაგრამ მაღალი ხარისხის მომსახურება, სადაც სასტუმრო ოთახები კარგადაა მოწყობილი, გათვალისწინებულია კვება და დამატებითი სერვისები სტუმრებისათვის ან შედარებით იაფი, სადაც სასტუმრო ოთახებში შეიძლება რამდენიმე სტუმარი ერთად დარჩეს, მათ ჰქონდეთ საერთო აბაზანა, სასტუმროს ფასში გათვალისწინებული არ იყოს კვება);

### **5. სხვა ხელსაყრელი პირობები**

უცხოელი და ადგილობრივი ტურისტებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ კარგი ხარისხის ინტერნეტსა და სატელეფონო კავშირზე. სასტუმროში ან მის შორიახლოს უნდა მდებარეობდეს მაღაზია, სადაც ისინი შეძლებენ მათთვის საჭირო პროდუქტის, დამხმარე ნივთების ან სუვენირების შეძენას.

## აგრო და ეკოტურიზმის მარკეტინგი

ტურისტული ბაზრის შესწავლისა და ტურისტული სერვისების განვითარების პარალელურად, აუცილებელია მარკეტინგული გეგმის შემუშავება, რომელიც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნებთან და თქვენს შესაძლებლობებთან. მინიმუმ ერთწლიანი მარკეტინგული გეგმა უნდა ასახავდეს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც განახორციელებთ ტურისტების მოსაზიდად და საჭირო ფინანსურ რესურსებს. მარკეტინგული საქმიანობების განხორციელება მნიშვნელოვან ინვესტიციას მოითხოვს. ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით შესაძლებელია, ტურისტულ ბიზნესში ჩართულ სხვა ფერმერებთან გაერთიანება და საერთო მარკეტინგული გეგმის შემუშავება. მნიშვნელოვანია შეიმუშაოთ თქვენი მარკეტინგული გეგმის მონიტორინგის მექანიზმი, მაგ. ჰკითხეთ სტუმრებს: საიდან შეიტყვეს მათ სასტუმროს/ტურისტული სერვისის არსებობის შესახებ; რომელი კომუნიკაციის საშუალებას ანიჭებენ ისინი უპირეტასობას; აქვთ თუ არა რაიმე რჩევა მარკეტინგული საქმიანობის გასაძლიერებლად და ა.შ.

მარკეტინგული საქმიანობების განხორციელებაში ტურისტული სერვისის მიმწოდებლებს დიდი დახმარება შეიძლება აღმოუჩინონ სახელმწიფო სტრუქტურებმა (მაგ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი), რომლებმაც შესაძლოა დააფინანსონ სარეკლამო რგოლები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები, მოამზადონ და გაავრცელონ საინფორმაციო ბროშურები, დააკავშირონ პოტენციურ პარტნიორებთან და კლიენტებთან.

## უსაფრთხო და დაცული ფერმა ტურისტებისთვის

საქართველოს აქვს რამდენიმე კანონი<sup>13</sup>, რომელიც ტურიზმის სფეროს ეხება. ისინი არ არეგულირებენ ეკო და აგრო ტურიზმთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა უახლოეს მომავალში, დაინტერესებული ტურისტების ზრდასთან და სფეროს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან ერთად, მოხდება საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. ჩვენი სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მიზანია, რომ ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული ფერმერები მომზადებულები დახვდნენ ახალ რეგულაციებს და თავის საქმიანობებში გაითვალისწინონ საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნები ეკო და აგრო ტურისტული სერვისების მიმართ, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი უსაფრთხოებაა.

### ფერმის შიდა უსაფრთხოება

ფერმის შენობა თუ შენობები შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობის ტექნიკურ მოთხოვნებთან, ასევე უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების სახელმწიფო რეგულაციებს და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. რისკების შესამცირებლად, რეკომენდებულია სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირება და მათგან იმ მოთხოვნების შესწავლა, რაც ბიზნესის და ინფრასტრუქტურის დაზღვევას უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება რისკების გადაცემა სადაზღვევო კომპანიაზე და ასევე სრული ინფორმაციის მიღება სახელმწიფოს ტექნიკური რეგულაციების შესახებ.

### ტექნიკური რჩევები სტუმრების უსაფრთხოების დასაცავად:

✓ ფერმაში უნდა იყოს სულ მცირე ერთი ადამიანი/ოჯახის წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტუმრების უსაფრთხოებაზე. მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმ ტექნიკური საშუალებების შესახებ

<sup>13</sup> 1997 წლის 6 მარტი - საქართველოს კანონი "ტურიზმისა და კურორტების შესახებ". ეს "ჩარჩო"-კანონი ფუძემდებელი აქტია ტურიზმისა და კურორტების კანონმდებლობაში.

1998 წლის მარტი - საქართველოს კანონი "კურორტებისა და ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ."

1998 წლის 20 მარტი - საქართველოს კანონი "საქართველოში შემოსულ და საქართველოდან გასულ ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ".



(სამედიცინო და სახანძრო აღჭურვილობა, სატელეფონო, სატრანსპორტო და სხვა სახის საკომუნიკაციო ტექნიკა), რომლის გამოყენებაც საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში შეიძლება;

✓ ფერმაში განთავსებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნები სტუმრებისათვის, რადგან ტურისტების დიდმა ნაწილმა შეიძლება არ იცოდეს ფერმაში ქცევის და ცხოვრების წესი, რაც დაკავშირებულია შინაურ ცხოველებთან ან ფერმის ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან;

✓ ფერმის იმ ნაწილებში, სადაც სტუმრების/ტურისტების გადაადგილება შეზღუდულია, უნდა იყოს განთავსებული სპეციალური მანიშნებლები და მათი მისადგომობა შეზღუდული;

✓ ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა (მაგ. ცეცხლმაქრი, ნიჩაბი, მცირე წყლის ავზი) განთავსებული უნდა იყოს ფერმის ყველა შენობაში. კარგი იქნება ფერმაში არსებობდეს სახანძრო რეაგირების გეგმა და ფერმის პერსონალს შორის განაწილებული იყოს საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების როლი;

✓ ფერმაში უნდა არსებობდეს შიდა კომუნიკაციის სისტემა (მაგ. ხელის ხმოვანი გადამცემი), რაც საშუალებას მისცემს სტუმრებს ადვილად დაუკავშირდნენ ფერმის თანამშრომლებს;

✓ პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფერმის ყველა შენობაში, ასევე ფერმის გიდები აღჭურვილნი უნდა იყვნენ პირველადი დახმარების საშუალებებით;

✓ ფერმის ცხოველები ტურისტებისგან მოშორებით უნდა იყვნენ განთავსებული და ფერმაში მომუშავე გიდების გარეშე არ შეეძლოთ მათთან ახლოს მისვლა;

✓ სპეციალური სანიტარული საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტურისტებისათვის, ფერმის სხვადასხვა ტერიტორიაზე;

✓ ტურისტებისთვის საჭიროა მოწყობა გარე და შიდა დასასვენებელი ადგილები. აუცილებელია, აღნიშნულ ადგილებში ხელმისაწვდომი იყოს სასმელი წყალი და მოწყობილი იყოს საპირფარეშო;

✓ ფერმის ტერიტორიაზე უნდა იდგეს სანაგვე ყუთები. სასურველია, თუ სანაგვე ყუთები ნარჩენების სეპარირების საშუალებას მისცემს ტურისტებს. სეპარირებული ნარჩენების გამოყენება შესაძლებელია

კომპოსტის წარმოებისათვის, მეტალისა და შუშის ნარჩენების გაყიდვა დამატებით შემოსავალს გაუჩენს ფერმერებს.

### **ფერმის გარე აქტივობების უსაფრთხოება**

ამ სახელმძღვანელოს მთავარ სამიზნე ჯგუფს მთიან აჭარაში მცხოვრები ფერმერები წარმოადგენენ. ეს რეგიონი გამოირჩევა რთული რელიეფით და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით. თუ ფერმერული მეურნეობა ტყესთან მდებარეობს, ან მისგან სხვა დასახლებული პუნქტები მნიშვნელოვნად დაშორებულია, გარე აქტივობების დროს გარეულ ცხოველებთან შეხვედრის მაღალი ალბათობა არსებობს (იხ. დანართი 5 (რუკა)), რაც, ერთის მხრივ, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ტურისტებში, ხოლო მეორეს მხრივ, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს (დანართი 5, დიაგრამა 4), რომლისთვისაც ფერმის გიდეები წინასწარ უნდა იყვნენ მომზადებული, ხოლო ტურისტებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ასეთ დროს ქცევის წესებზე (იხ. დანართი 6, დიაგრამა 1, 2, 3).

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც გიდებმა და ტურისტებმა უნდა გაითვალისწინონ გარეულ ცხოველებთან შეხვედრის შემთხვევაში:

- **მგელი/ტურა** - გამოეცით რაც შეიძლება ძლიერი ხმა, ისროლეთ ქვა ცხოველის ახლო მიმართულებით და შეძლებისდაგვარად გამოხატეთ თქვენი ფიზიკური სიდიდე, თითოეული თქვენი მოძრაობის დროს შეეცადეთ აჩვენოთ მტაცებელ ცხოველს თქვენი ფიზიკური სიძლიერე;
- **დათვი** - შეინარჩუნეთ სიმშვიდე, არ გაიქცეთ. ყველაზე სწრაფ მორბენალსაც არ შეუძლია გაექცეს დათვის ახლო მანძილიდან. შეეცადეთ არ გამოიყურებოდეთ, როგორც პოტენციური მსხვერპლი. შეძლებისდაგვარად გამოხატეთ თქვენი ფიზიკური სიდიდე, ხელების მოძრაობით და ძლიერი ხმის გამოცემით დააფრთხეთ ცხოველი. ხეზე ასვლას შეეცადეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხე თქვენს გვერდით დგას და თქვენ მასზე ასვლას დაახლოებით 10-15 მეტრის სიმაღლეზე

მინც შეძლებთ. არ დაწვეთ მიწაზე, რადგან ასეთი ქცევა ინტერესს იწვევს მტაცებელში და დამატებით საფრთხეს აჩენს თქვენთვის;

- **გველი** - შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ეცადეთ ნელა მოშორდეთ ქვეწარმავალს ისე, რომ არ შემოტრიალდეთ, შემოტრიალდით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქვეწარმავალს დაშორებული ხართ 1.5-2 მეტრით;
- **ირემი** - ირემთან შეხვედრის შემთხვევაში ეცადეთ მშვიდად გაცილდეთ მას. ირემი ადამიანს ძალიან იშვიათად ესხმის თავს და ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ირემს ადამიანის მხრიდან თავდასხმის მოგერიება დასჭირდა.

### **გარეული ცხოველებისგან დაცული ფერმა**

გარეული მტაცებელი ცხოველებისაგან ფერმის დასაცავად შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას შემდეგი, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდები:

### **ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები**

ბარიერები საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა გარეული ცხოველებისგან შინაური პირუტყვის თუ მოსავლის დასაცავად. ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა ბარიერებს მარცვლეული კულტურების თუ ხეხილის ბაღების, პირუტყვის საძოვრის ან ღამის სათევი ადგილის შემოსაღობად. ბარიერების მოსაწყობად გამოიყენება მრავალი საშუალება: ხის ტოტები, ქვა, მავთულბადაე და სხვა.

მგლებისგან შინაური პირუტყვის დასაცავად აღმოსავლეთ ევროპაში გამოიყენება დროშებიანი (Fladry) ბარიერი ან უფრო თანამედროვე ტურბო ბარიერი (Turbo Flardy). ბარიერი მარტივი კონსტრუქციისაა: ის შედგება თოკზე დაკიდებული მოქანავე დროშებისაგან, დროშებს შორის დაშორებაა 0.5 მეტრი. ტურბო ბარიერში თოკის ნაცვლად ჩართულია ელექტრო სადენების კომპონენტი. კვლევებმა აჩვენა, რომ მგლებს ეშინიათ თოკზე/ელექტრო მავთულზე დამაგრებული მოქანავე დროშების და არ კვეთენ ასეთ ბარიერებს. მსგავსი ბარიერებით დღესაც იცავენ შინაურ პირუტყვს. ასეთი ბარიერის მოწყობა ადვილია შინაური პირუტყვის ღამისსათევ ადგილას, მაგრამ რთულია საძოვრებზე

გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ ბარიერის არ ეშინია დათვს. შინაური პირუტყვი არ უფრთხის მას, როგორც წესი, დროშებიან ბარიერს იყენებენ სხვა სახის ბარიერებთან კომბინაციაში.

„ელექტრო მწყემსი“ (electric fencing) ბარიერის ერთ-ერთი სახეობაა. იგი მოქმედებს როგორც წვრილ, ისე მსხვილ გარეულ ცხოველებზე, მაგ. როგორცაა, მურა დათვი, მგელი. შინაური პირუტყვიც ერიდება მასთან კონტაქტს, რაც ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ელექტრომწყემსი გამოიყენება, როგორც პირუტყვის ღამისსათევი (თავშეყრის) ადგილების დასაცავად, ისე საძოვრებზე, საძოვრის დიდი ფართობის შემოსაფარგლად, ფუტკრის სკების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების დასაცავად. ელექტრომწყემსის დადებითი მახასიათებელია მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის შესაძლებლობა. უარყოფით მახასიათებლად ითვლება პირველადი ინსტალაციის ღირებულება, რაც მისი გრძელვადიანი და მარტივი ექსპლუატაციის პირობებში ხარჯეფექტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს მეურნეობის გაძლიერების ისეთი სისტემა, რომელიც შეამცირებს გარეული ცხოველების კონტაქტს შინაურ პირუტყვთან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან (ღამის სანათები, ჰელიოსისტემაზე მომუშავე ელექტროლობები, ცხოველის დასაფრთხობი ხმაურის სისტემები და ა.შ).

## თქვენი პოტენციური პარტნიორები ტურიზმის სექტორში

ტურიზმის სფეროს მართვას საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის სექტორი იმართება აჭარის მთავრობაში შემავალი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ. გარდა აღნიშნული სახელმწიფო უწყებებისა, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ტურიზმის სფეროს განვითარებაში, საქართველოს ბევრ ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ადგილობრივი ტურიზმის განვითარების სამსახურები ან ადგილობრივ გამგეობებში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, მათ შორის ტურიზმის მიმართულებით მუშაობენ.

ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარებაზე აქტიურად მუშაობს საქართველო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელიც დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, ახორციელებს ადგილობრივი სოციო-ეკონომიკური განვითარების პროექტებს, რომლებშიც ტურიზმს ცენტრალური ადგილი უჭირავს.

შედარებით ნაკლები როლი აქვს აგროტურიზმის განვითარების მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. დღეისათვის ერთ-ერთ გამოწვევას ქვეყნის ტურიზმის სექტორის განვითარებაში სწორედ აგროტურიზმის ხელშეწყობა წარმოადგენს, რომელიც ყოველწლიურად მზარდი ინდუსტრიაა საერთაშორისო ტურიზმის სექტორში.

ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის და საქართველოს მასშტაბით აქტიურად მუშაობენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები (იხილეთ დანართი 4), რომლებიც დაინტერესებულ პირებს საჭირო კონსულტაციას უწევენ. მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფერმერების ჩართულობის ხელშეწყობას ტურისტულ ბიზნესში და ხელს უწყობს წარმატებული ადგილობრივი და საერთაშორისო ცოდნისა და პრაქტიკის გავრცელებასა და დანერგვას ქვეყანაში.

**დანართები:**

**დანართი 1. წინასწარი თვითშეფასების ცხრილი, აგრო და ეკოტურისტული ბიზნესის დაწყების მსურველთათვის**

|           | <b>თვითშეფასების კითხვა</b>  | <b>დაახ</b> | <b>არა</b> |
|-----------|--|-------------|------------|
| <b>1.</b> | <b>ადამიანური რესურსის შეფასება</b>  |             |            |
| 1.1       | გყავთ თუ არა საჭირო ადამიანები (მაგ. ოჯახის წევრი, მეგობარი, მეზობელი), ვინც დაგეხმარებათ წამოწყებაში?   |             |            |
| 1.2       | აქვთ თუ არა მათ შესაბამისი განათლება ან/და გამოცდილება (მაგ. ტურიზმში, მცირე და საშუალო ბიზნეს პროცესების მართვაში, მომხმარებლებთან ურთიერთობაში)? |             |            |
| 1.3       | აქვთ თუ არა მათ სურვილი მიიღონ დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები (მაგ. ტრენინგებში, ვორკშოპებში და კონფერენციებში მონაწილეობა)?                     |             |            |
| <b>2.</b> | <b>ტექნიკური რესურსის შეფასება</b>   |             |            |
| 2.1       | ადვილად მისადგომია თუ არა ფერმა ტურისტული ცენტრიდან/დასახლებიდან, საიდანაც შეიძლება მოიზიდოთ ტურისტები?  |             |            |
| 2.2       | გაქვთ თუ არა სტუმრის მისაღებად მოწესრიგებული სახლი, სტუმრის და დამხმარე ოთახები, სანიტარული წერტილები, ეზო?  |             |            |
| 2.3       | გაქვთ თუ არა მოწესრიგებული ფერმის ინფრასტრუქტურა და ტურისტებისთვის მომზადებული საინტერესო გასართობი/შემეცნებითი შეთავაზება?                        |             |            |
| <b>3.</b> | <b>ფინანსური რესურსის შეფასება</b>   |             |            |
| 3.1       | გაქვთ ან შეგიძლიათ თუ არა მოიძიოთ ფინანსური და ტექნიკური რესურსი თქვენს სახლის და ფერმის სტუმრების მისაღებად მომზადებისათვის?                      |             |            |
| 3.2       | გაქვთ ან შეგიძლიათ თუ არა მოიძიოთ ფინანსური რესურსი, დაქირავებული პერსონალის ხელფასის მინიმუმ 6 თვით ანაზღაურებისათვის?                            |             |            |
| 3.3       | გაქვთ ან შეგიძლიათ თუ არა მოიძიოთ ფინანსური რესურსი სტუმრების მისაღებად საჭირო ინვენტარის შესაძენად?   |             |            |

**დანართი 2. სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ სასწავლო კურსებს ტურიზმის სფეროში**

| <b>სასწავლებლები</b>  | <b>ვებგვერდი</b> | <b>კურსები</b> |
|---|------------------|----------------|
| პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები<br>(სახელმწიფო სასწავლებლები) - <a href="http://vet.ge/">http://vet.ge/</a> |                  |                |

|   |   |   |
|---|---|---|
| ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი   | <a href="http://www.bsu.edu.ge">www.bsu.edu.ge</a>        | სარესტორნო საქმისმწარმოებელი  |
| პროფესიული კოლეჯი "ბლექსი"  | <a href="http://www.batumiprof.ge">www.batumiprof.ge</a>  | გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.); სასტუმრო საქმისმწარმოებელი; სარესტორნო საქმისმწარმოებელი  |
| სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია                                 | <a href="http://www.bsma.edu.ge">www.bsma.edu.ge</a>      |   |
| ყველა ტრენინგები ერთ საიტზე - <a href="http://www.trainings.ge">http://www.trainings.ge</a> |   |   |
| საგანმანათლებლო ცენტრი ბიდისი აკადემია, BDC Academy   | <a href="http://bdc-center.ge/">http://bdc-center.ge/</a> | ტურიზმის მენეჯმენტი; სასტუმროს მენეჯმენტის კურსები სტაჟირებით; ბიზნეს ადმინისტრირება. |
| ინტელექტ ცენტრი, Intellect Center   | <a href="http://www.intelc.ge">www.intelc.ge</a>          | თანამედროვე მენეჯმენტისა და ბიზნეს ადმინისტრირების სრული კურსი                        |

**დანართი 3. ევო და აგროტურიზმით დაინტერესებული ადამიანებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის ჩამონათვალი**

| საკითხავი მასალები ტურიზმის შესახებ   | დამატებითი ინფორმაცია   |
|---|---|
| ტურისტული მარშრუტების მოდელირება (სასწავლო - მეთოდური სახელმძღვანელო) – (2013) - ნ. ბირიცკაია, ნ. კვარაცხელია, ნ. ალხანიშვილი |   |
| შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში. მე-10 გამოცემა - (2012) - ბეროვსკი, ვ. კლეიტონ, ტ. პავერსი, დ. რეინოლდსი                   |   |
| ტურიზმი (საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია). - მე-12 გამოცემა - (2013) - გელდენერი, ჩარლზ რ., რითმი, ზ. ჯ.რ.                       |   |
| საქართველო - ტურიზმის და კურორტების ქვეყანა: სახელმძღვანელო – (2011) – ნიკოლოზ სააკაშვილი, თამარ ჩილინგარაშვილი               |   |
| გარემო და ევოტურიზმის მენეჯმენტი – (2012) – მარინა მეტრეველი  |   |
| ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი: სახელმძღვანელო – (2012) – თ. ქობლიანიძე, მ. მელაძე                                      |   |
| ტურიზმის ბიზნესი - (2010) - ლარისა ყორღანაშვილი   | <a href="http://lkorgan.narod.ru/turizmisbiznesi.pdf">http://lkorgan.narod.ru/turizmisbiznesi.pdf</a>   |
| ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გეოგრაფია (სალექციო კურსი ბაკალავრებისთვის, თარგმნილი ნინო                                    | <a href="https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_soci">https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_soci</a> |



|  |  |
|--|--|
| პავლიაშვილის მიერ)                               | <a href="http://al_political/Turizmis%20geografia-nino%20pavliashvili.pdf">al_political/Turizmis%20geografia-nino%20pavliashvili.pdf</a> |
| ტურის გამყოლის (გიდის) ბიზნესი                   | <a href="http://tsu-tdi.blogspot.com/p/blog-page_6.html">http://tsu-tdi.blogspot.com/p/blog-page_6.html</a>                              |
| სასტუმრო მენეჯმენტი                              | <a href="http://tsu-tdi.blogspot.com/p/blog-page.html">http://tsu-tdi.blogspot.com/p/blog-page.html</a>                                  |
| შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში I | <a href="http://tsu-tdi.blogspot.com/p/i.html">http://tsu-tdi.blogspot.com/p/i.html</a>  |
| "NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო"                 | <a href="http://www.nationalgeographic.ge/">http://www.nationalgeographic.ge/</a>  |

**დანართი 4. ეკო და აგროტურიზმის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები საქართველოში**

**აგროტურიზმი**


- ბიოლოგიურ მემკვიდრეობათა ასოციაცია „ელკანა“ -[www.elkana.org.ge](http://www.elkana.org.ge)
- ღვინის კლუბი-<http://www.wineclub.ge/>

**ეკოტურიზმი**


- ეკოტურიზმის განვითარების ცენტრი- <http://ecotourism.ge/>



## დანართი 6. დიაგრამები<sup>14</sup>




დიაგრამა 1. ძირითადი გარეული ცხოველები და მათი დასახელების სიხშირე მუნიციპალიტეტების მიხედვით




დიაგრამა 2. გარეულ ცხოველთა თავდასხმების სეზონურობა

<sup>14</sup> საბაზისო კვლევა „ადამიანის და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულება“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ნოემბერი, 2015, მეორე კავკასიის ალიანსების პროგრამა (ALCP).



დიაგრამა 3. ადამიანისთვის საშიში ცხოველები




დიაგრამა 4. ყველაზე პრობლემური გარეული ცხოველები

სახელმძღვანელო შევიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული და მერსი ქორფსის (Mercy Corps) მიერ იმპლემენტირებული „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ (ALCP) დაკვეთით “შავი ზღვის ეკო აკადემიამ” მოამზადა.



**ALCP** Alliances Lesser  
Caucasus Programme



Swiss Cooperation Office  
South Caucasus



**შავი ზღვის ეკო აკადემია**  
ვებგვერდი [www.bsea.ge](http://www.bsea.ge)  
ელ ფოსტა: [bsea@bsea.ge](mailto:bsea@bsea.ge)  
ტელეფონის ნომერი (+995) 577 423 927  
მისამართი: ბათუმი, ფ. მეფის ქ. 79

გარეკანის ფოტო: ნიკა წიკლაური © EcoFilms.ge

